შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№42 (9.707)

14-21 ნოემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

თანადგომის მაგალითი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა, სოფელ გამარჯვებაში, ამავე სოფლის წარმომადგენელთან - გიორგი ჭინჭარაულთან ერთად, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 14 წლის ლუკა გიგაური მოინახულეს. ოჯახს სურსათ-სანოვაგე და ზამთრისათვის შეშა მიუტანეს.

„დღეს ჩვენ სტუმრად ვიყავით პატარა ლუკასთან, რომელიც არაჩვეულებრივი ადამიანია და დიდი სითბოთი გამოირჩევა. ამ სტუმრობით ჩვენ გვინდოდა ქალბატონი თალიკოსთვის და ლუკასთვის ჩვენი გვერდში დგომა და მეგობრობა გამოგვეხატა. მოვინახულეთ ოჯახი, გადავეცით საკვები პროდუქტები და ზამთრის სეზონისათვის სათბობი შეშა. მუნიციპალიტეტი ყოველთვის მზად არის ასეთი ადამიანების დასახმარებლად“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

სტიქიამ დედოფლისწყაროც დაზარალა

11-12 ნოემბერს ძლიერმა ქარმა პრობლემები შექმნა დედოფლისწყაროსა და მის სოფლებშიც.

როგორც ქალაქ დედოფლისწყაროში გამგებლის წარმომადგენელმა ბესიკ ცისკარაულმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ქარმა კულტურის სახლის შენობას სახურავი გადახადა. ეწ „ბამის კორპუსის“ მოაჯირი გადმოინგრა. ძლიერი ქარის შედეგად ასევე დაზიანდა სათნოების სახლისა და სპორტის ცენტრის შენობების სახურავები. ამას გარდა, დაზიანდა ნუგზარ გონაშვილის საცხოვრებელი სახლის ჭერი, სადაც ქარმა აივანს შიფერი გადახადა.

მრავალწლიანი ხეები წაიქცა ელიას მთაზე მდებარე ტყეში და სოფელ გამარჯვებაში, თბილისი-დედოფლისწყაროს ცენტრალურ მაგისტრალზე. ხოლო, სოფელ სამრეკლოში ერთერთი ადგილობრივის სახლს აივანი ჩამოენგრა. სოფლებში გამარჯვებაში და სამრეკლოში ხეების წაქცევის შედეგად დაზიანდა ელექტროსადენები და ბუნებრივი აირის მილები.

სტიქიის ზონა მოინახულა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფლების რწმუნებულებთან ერთად და პირადად გაეცნო იმ პრობლემებს, რომლებიც ძლიერმა ქარმა შექმნა. დასუფთავების სამსახურმა ოპერატიულად გაწმინდა მოტეხილი ხეებისგან ჩახერგილი გზის მაგისტრალი, რომელიც მგზავრებისთვის გადაადგილების პრობლემას ქმნიდა.

„განცხადებები უკვე შემოდის გამგეობაში. საჭიროა, საკრებულოში კომისიის შექმნა, რომელიც ყველა მისამართზე რეალურ ვითარებას შეისწავლის. თუმცა, საკრებულოს გადაწყვეტილებამდე ჩვენ საკუთარი ძალებით ვახდენთ რეაგირებას და ყველა ადგილი მოვინახულეთ. ხარვეზების აღმოფხვრა უკვე დავიწყეთ და ჩვენი რესურსით თუ თანადგომით ვეცადეთ ვითარების გამოსწორებას,“ - აღნიშნავს ბესიკ ცისკარაული.

პრიორიტეტები განიხილეს

კვლავ იაკობის სამყაროში...

დედოფლისწყაროს 2016 წლის ადგილობრივი ბიჯეტის პროექტი

გვ.3-4

მეეზოვის ერთი დღე

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს სპიკერს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს სპიკერ პეტერ პელეგრინის შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მხარეებმა საქართველო-სლოვაკეთის თანამშრომლობისა და ევროპული და ევროატლანტიკური დღის წესრიგის მთავარი საკითხები განიხილეს.

მათივე განმარტებით, ირაკლი ღარიბაშვილმა და პეტერ პელეგრინიმ ისაუბრეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში ორი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზეც. ყურადღება გამახვილდა პარლამენტთაშორის ურთიერთობებზე, სხვადასხვა სტრუქტურებს შორის სექტორული თანამშრომლობის განვითარებისა და ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასევე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების ლიბერალიზაციის დიალოგის პროცესებს. აღინიშნა, რომ უვიზო რეჟიმის შემოღება იქნება ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ევროპული არჩევნის მხარდაჭერის ნათელი დემონსტრირება და საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგი.

“მხარეებმა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობის საკითხებიც განიხილეს. ითქვა, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკა აქტიურადაა ჩართული “ვიშეგრადის ოთხეულის” ფორმატში მუშაობის პროცესში, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მხარდაჭერა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა პეტერ პელეგრინს, სლოვაკეთის რესპუბლიკის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისა და ევროპული არჩევანის მტკიცე მხარდაჭერისთვის”, - აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციაში.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრას ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვაკეთში ალექსანდრე ნალბანდოვი დაესწრნენ.

სლოვაკეთის პრემიერი – ჩვენი ხმა ყოველთვის თქვენს სასარგებლოდ იქნება

საქართველომ გააკეთა თავისი არჩევანი და აქვს სურვილი გაწევრიანდეს ევროკავშირში და ევროატლანტიკურ ალიანსში, ამაში სლოვაკეთი სრულად უჭერს მხარს. იცოდეთ, ჩვენი ხმა ყოველთვის თქვენს სასარგებლოდ იქნება, - ამის შესახებ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიცომ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან გვაცნობეს, პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში გამართული შეხვედრების შემდეგ, საქართველოს და სლოვაკეთის მთავრობის მეთაურებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს, სადაც შეხვედრის შედეგები შეაჯამეს და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს.

რობერტ ფიცოს განმარტებით, საქართველოსა და სლოვაკეთს საერთო ევროპული, დემოკრატიული ღირებულებები და ტრადიციული კავშირები გააჩნიათ.

“კარგი იქნება, რომ ჩვენ პოლიტიკოსებს უკეთ გავაცნოთ ერთმანეთი, ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს ამავე დროს ჯერ გაგვაჩნია გამოუყენებელი პოტენციალი. დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ განვახორციელებთ ზეწოლას მინისტრთა კაბინეტზე, რათა კიდევ უფრო გააქტიურდეს ურთიერთობები სხვადასხვა მიმართულებით”, - აღნიშნა სლოვაკეთის პრემიერმა.

მისივე თქმით, სლოვაკეთის საელჩოს გახსნამ დიდი როლი ითამაშა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში და ამასთან არსებობს პირდაპირი ავიარეისების გახსნის შესაძლებლობა, რომელიც ორი ქვეყნის დაახლოების პროცესს შეუწყობს ხელს.

რობერტ ფიცომ ფილმი “რაჭა ჩემი სიყვარული” გაიხსენა, როგორც სლოვაკებისა და ქართველების მეგობრობის სიმბოლო. მისი თქმით, ბედნიერი იქნება, თუკი პოლიტიკოსების ურთიერთობა ფილმის გმირების მეგობრულ ურთიერთობას დაემსგავსება.

ნინო გვენეტაძე - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ორიენტირებულია ბავშვთა ინტერესზე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ორიენტირებულია ბავშვთა საუკეთესო ინტერესზე, - ამის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ სასტუმრო “ჰოლიდეი ინნ”-ში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, სადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს შვიდი ქვეყნის დელეგაციები ეცნობიან.

ნინო გვენეტაძის განმარტებით, მართლმსაჯულების ინტერესი გარკვეულწილად უკანა პლანზე არის გადასული და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასასრულწლოვანი დაზარალებულის ინტერესები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არის დაცული, როგორც სისხლის სამართლის წარმოების პროცესში, ასევე ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენის მიმართაც. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ინფორმაციით, აღნიშნული კანონმდებლობა გაეროს მოდალური კანონმდებლობის მოდელზეა შექმნილი, თუმცა გათვალისწინებულია ქართული სამართლებრივი კულტურისა და იმ

ტრადიციების არსებობის საჭიროება, რომელიც ქართულ რეალობაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობას ყოველთვის თან ახლდა, თუმცა კანონმდებლობა გაბნეული იყო. ნინო გვენეტაძის განცხადებით, უმთავრესია კანონმდებლობის იმპლემენტაცია. მისივე თქმით, ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მთავარი როლი სამართალწარმოების განხორციელების ეტაპს უჭირავს.

სასტუმრო “holidei inn”-ში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინოვაციურ კოდექსს შვიდი ქვეყნის დელეგაციები ეცნობიან.

კონფერენციის სტუმრებს სიტყვით მიმართა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. ღონისძიებაზე იმყოფებიან ევროკავშირის ელჩი საქართველოში იანოშ ჰერმანი, UNISEF-ის წარმომადგენელი საქართველოში საშა გრაუმანი და ევროკავშირის პროექტის “სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში” ხელმძღვანელი, მოსამართლე რენატე ვინტერი. ასევე კოდექსის გასაცნობად საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდნენ დელეგაციები უკრაინიდან, სომხეთიდან, ყირგიზეთიდან, ტაჯიკეთიდან, მოლდოვადან, ყაზახეთიდან და ბელარუსიდან.

პაატა ბურჭულაძემ აიჰ „სამოქალაქო განვითარების ფონდი“ დააფუძნა

ცნობილმა ქართველმა საოპერო მომღერალმა და საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ არასამეწარმე არაკომერციული იურიდიული პირი „პაატა ბურჭულაძე — საქართველოს განვითარების ფონდი“ დააფუძნა. ორგანიზაცია 2015 წლის 2 ნოემბერს დარეგისტრირდა.

წესდების მიხედვით, ორგანიზაციის შექმნის ძირითადი მიზანია, ქვეყნისათვის აქტუალური საკითხების განხილვა, საჭირო და დროული რეკომენდაციების შემუშავება და მათი ცხოვრებაში გატარების მხარდაჭერა; სახემწიფოებრივად მოაზროვნე დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია და საზოგადოებრივი მაქსიმალური ჩართულობის გზით ქვეყნის ეფექტური განვითარება; ქვეყნის ბედის მიმართ მოქალაქეების გულგრილი დამოკიდებულების შეცვლა და საზოგადოების პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა; არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გაზრდა სამოქალაქო და საზოგადოების განვითარებაში.

ბურჭულაძის გარდა ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან: ივანე მაჭავარიანი, საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ყოფილი მრჩეველი; მერაბ ტყეშელაშვილი — ქალაქ რუსთავი ყოფილი მერი; ირაკლი გურჩიანი — „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ დირექტორი;

სამეწარმეო რეესტრიდან მიღებული ამონაწერის მიხედვით, პაატა ბურჭულაძეა ორგანიზაციის თავმჯდომარე, ხოლო მისი მოადგილე ივანე მაჭავარიანია. ამავე დროს მაჭავარიანია აღმასრულებელი დირექტორიც.

ჰონგ-კონგის გამოფენაზე „კახური ღვინის მარანის“ ღვინომ გრანპრი და ოქროს მედალი მოიპოვა

ჰონგ-კონგის ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე - „HKTDC - Hong Kong International Wine and Spirits Fair 2014“ - კომპანიის „კახური ღვინის მარანი“ ღვინომ „საფერავი 2011“ ორი უმაღლესი ჯილდო, გრანპრი ნომინაციაში „საუკეთესო რეგიონალური ღვინო აღმოსავლეთ ევროპაში“ და ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა ამავე კომპანიის ღვინო „მუკუზანი 2011“.

გამოფენას მსოფლიოს 40-მდე ქვეყნიდან ათი ათასობით ადამიანი ესწრება. კონკურსში მონაწილეობის თაობაზე კი მთელი მსოფლიოდან წელიწადში 1500-ზე მეტი განაცხადი შედის. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, წელს გამოფენაზე წარმოდგენილია 6 ქართული კომპანიის - „თბილღვინო“, „მეღვინეობა ხარება“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, „ბადაგონი“, „ქართული ღვინის სახლი“ და კომპანია „ქართული ღვინო“ - სხვადასხვა სტილის ღვინო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციისთვის მაღალი კლასის საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა და გამარჯვება უმნიშვნელოვანესია.

„ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ახალი ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით, რისთვისაც უმნიშვნელოვანესია ქართული პროდუქციის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია. ქართულ პროდუქციას და გამორჩეულად ქართულ ღვინოს აქვს პოტენციალი ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზარზე. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ აქტიურად ხორცილდება ღვინის ხარისხის კონტროლი, რაც მინიმუმამდე ამცირებს ფალსიფიკაციას და უხარისხო პროდუქციის მოხვდრის შესაძლებლობას როგორ ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ყოველწლიური გამოფენა „HKTDC - Hong Kong International Wine and Spirits Fair 2014“ 5-7 ნოემბერს ტარდება და აზიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოფენაა.

გამოფენის ფარგლებში იმართება კონკურსიც და შედეგები გამოფენის გახსნის დღეს ქვეყნდება, რაც უზრუნველყოფს გამარჯვებული ბრენდების სტენდებთან მეტი დაინტერესებული ტრეიდერისა და იმპორტიორის მოზიდვას.

6 ნოემბერს, გამოფენის „HKTDC - Hong Kong International Wine and Spirits Fair 2014“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media“ ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი ქართულ ღვინის სემინარსა და და დეგუსტაციას გამართავს.

თელავში ვახვახიშვილების სასახლე გაიხსნა

კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა და ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ ვახვახიშვილების რეაბილიტირებული სასახლე გახსნეს.

“მე ვიქნები გარანტი, რომ თელავში ისტორიული ძეგლები არ გასხვისდება და მოემსახურება თელავის კულტურის ცხოვრების დონის კიდევ უფრო ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ სასახლეს რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ჩაუტარდა, ხოლო რეაბილიტირებულ სასახლეში გათვალისწინებული იქნა საგამოფენო სივრცე, სადაც მოეწყობა სალონური ტიპის საღამოები და ხელოვნებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები. თელავი ამაყობს თავისი კულტურული მემკვიდრეობით, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ მემკვიდრეობას დაცვა და სწორი ფუნქციური დატვირთვა სჭირდება. რეაბილიტირებული ვახვახიშვილების სასახლე არის კულტურის ცენტრი ქალაქის და ჩვენი გადაწყვეტილებით შემოქმედებით და კრეატიულად მოაზროვნე ადამიანებს სწორედ აქ მიეცემათ საშუალება მოახდინონ საკუთარი იდეების და შესაძლებლობების ხორცშესხმა. ეს არის ახალი სივრცე და ახალი შესაძლებლობა თითოეული თელაველისთვის”-განაცხადა ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ.

სასახლეში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 22 511 ლარი დაიხარჯა.

დედოფლისწყაროს 2016 წლის ადგილობრივი ბიჯეტის პროექტი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
				მათ შორის			მათ შორის	
		სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები		**7 210,3**	**7 230,6**	**2 641,0**	**4 589,6**	**4 675,7**	**0,0**	**4 675,7**
შემოსავლები	**1**	**7 180,5**	**7 220,6**	**2 641,0**	**4 579,6**	**4 665,7**	**0,0**	**4 665,7**
არაფინანსური აქტივების კლება	**31**	**29,8**	**10,0**	**0,0**	**10,0**	**10,0**	**0,0**	**10,0**
შემოსავლები	**1**	**7 180,5**	**7 220,6**	**2 641,0**	**4 579,6**	**4 665,7**	**0,0**	**4 665,7**
გადასახადები	11	2 277,6	1 534,1	0,0	1 534,1	1 904,1	0,0	1 904,1
საშემოსავლო გადასახადი						370,0		370,0
ქონების გადასახადი	113	2 277,6	1 534,1	0,0	1 534,1	1 534,1	0,0	1 534,1
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	157,4	120,0		120,0	120,0		120,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	3,4	2,0	0,0	2,0	2,0	0,0	2,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	1,5	2,0		2,0	2,0		2,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	1,9	0,0			0,0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	2 007,0	1 384,5	0,0	1 384,5	1 384,5	0,0	1 384,5
ფიზიკური პირებიდან	1131141	1 856,0	1 044,5		1 044,5	1 044,5		1 044,5
იურიდიული პირებიდან	1131142	151,0	340,0		340,0	340,0		340,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	109,1	27,6	0,0	27,6	27,6	0,0	27,6
ფიზიკური პირებიდან	1131151	13,8	7,6		7,6	7,6		7,6
იურიდიული პირებიდან	1131152	95,3	20,0		20,0	20,0		20,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0,7	0,0			0,0		
გრანტები	**13**	**3 596,8**	**4 566,5**	**2 641,0**	**1 925,5**	**1 762,2**	**0,0**	**1 762,2**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	3 596,8	4 566,5	2 641,0	1 925,5	1 762,2	0,0	1 762,2
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**1311**	**1 508,8**	**1 925,5**	**0,0**	**1 925,5**	**1 762,2**	**0,0**	**1 762,2**
გათანაბრებითი ტრანსფერი		1 323,8	1 740,5		1 740,5	1 577,2		1 577,2
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		185,0	185,0		185,0	185,0		185,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**1312**	**2 088,0**	**2 641,0**	**2 641,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		1 640,6	2 197,5	2 197,5		0,0		0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		447,4	443,5	443,5		0,0		
სხვა შემოსავლები	**14**	**1 306,1**	**1 120,0**	**0,0**	**1 120,0**	**999,4**	**0,0**	**999,4**
შემოსავლები საკუთრებიდან	141	1 103,9	963,6	0,0	963,6	850,0	0,0	850,0
პროცენტები	**1411**	430,5	120,0		120,0	150,0		150,0
რენტა	**1415**	**673,4**	**843,6**	**0,0**	**843,6**	**700,0**	**0,0**	**700,0**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	672,8	843,1		843,1	**700,0**		700,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0,6	0,5		0,5	0,0		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	53,1	49,4	0,0	49,4	44,4	0,0	44,4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**1422**	**47,0**	**46,4**	**0,0**	**46,4**	**41,4**	**0,0**	**41,4**
სანებართვო მოსაკრებელი	14223	2,2	1,0		1,0	1,0		1,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0,8	0,4		0,4	0,4		0,4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	44,0	45,0		45,0	40,0		40,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**1423**	**6,1**	**3,0**	**0,0**	**3,0**	**3,0**	**0,0**	**3,0**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	6,1	3,0		3,0	3,0		3,0
ჯარიმები, საჭიდები და საურავები	143	113,3	105,0		105,0	100,0		100,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	35,8	2,0		2,0	5,0		5,0
არაფინანსური აქტივების კლება	**31**	**29,8**	**10,0**	**0,0**	**10,0**	**10,0**	**0,0**	**10,0**
მატერიალური მარაგები	312	0,0	10,0		10,0	10,0		10,0
არაწარმოებული აქტივები	314	29,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა ბუნებრივი აქტივები	**3143**	3,1	0,0			0,0		

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
				მათ შორის			მათ შორის	
		სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	**8 284,5**	**9 394,5**	**2 641,1**	**6 753,4**	**5 847,5**	**0,0**	**5 847,5**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	**170,0**	**171,0**	**0,0**	**171,0**	**130,0**	**0,0**	**130,0**
	ხარჯები	**5 078,7**	**6 024,9**	**40,0**	**5 984,9**	**5 840,5**	**0,0**	**5 840,5**
	შრომის ანაზღაურება	1 548,2	1 331,7	0,0	1 331,7	1 328,0	0,0	1 328,0
	საქონელი და მომსახურება	1 439,8	1 530,6	0,0	1 530,6	1 517,1	0,0	1 517,1
	სუბსიდიები	1 778,5	2 250,2	0,0	2 250,2	2 622,4	0,0	2 622,4
	გრანტები	0,0	500,4	0,0	500,4	0,0	0,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	295,1	412,0	40,0	372,0	373,0	0,0	373,0
	სხვა ხარჯები	17,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**3 205,8**	**3 369,6**	**2 601,1**	**768,5**	**7,0**	**0,0**	**7,0**
	ძირითადი აქტივები	3 205,8	3 369,6	2 601,1	768,5	7,0	0,0	7,0
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	**1 781,8**	**2 145,3**	**0,0**	**2 145,3**	**1 959,2**	**0,0**	**1 959,2**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	**113,0**	**114,0**	**0,0**	**114,0**	**121,0**	**0,0**	**121,0**
	ხარჯები	**1 764,9**	**1 957,8**	**0,0**	**1 957,8**	**1 952,2**	**0,0**	**1 952,2**
	შრომის ანაზღაურება	1 062,9	1 246,0	0,0	1 246,0	1 251,0	0,0	1 251,0
	საქონელი და მომსახურება	702,0	711,8	0,0	711,8	701,2	0,0	701,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**16,9**	**187,5**	**0,0**	**187,5**	**7,0**	**0,0**	**7,0**
	ძირითადი აქტივები	16,9	187,5	0,0	187,5	7,0	0,0	7,0
01 01	**მუნიციპალიტეტის საკრებულო**	**450,0**	**573,3**	**0,0**	**573,3**	**619,6**	**0,0**	**619,6**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	**18,0**	**21,0**		**21,0**	**23,0**		**23,0**
	ხარჯები	**445,4**	**569,3**	**0,0**	**569,3**	**617,6**	**0,0**	**617,6**
	ხარჯები	**575,4**	**693,1**	**40,0**	**653,1**	**675,4**	**0,0**	**675,4**
	სუბსიდიები	280,3	281,1	0,0	281,1	302,4	0,0	302,4
	სოციალური უზრუნველყოფა	295,1	412,0	40,0	372,0	373,0	0,0	373,0
06 01	**ჯანდაცვის პროგრამები**	**91,1**	**81,1**	**0,0**	**81,1**	**102,4**	**0,0**	**102,4**
	ხარჯები	**91,1**	**81,1**	**0,0**	**81,1**	**102,4**	**0,0**	**102,4**
	სუბსიდიები	91,1	81,1		81,1	102,4		102,4
06 02 03	**საათნოების სახლი**	**189,2**	**200,0**	**0,0**	**200,0**	**200,0**	**0,0**	**200,0**
	ხარჯები	**189,2**	**200,0**	**0,0**	**200,0**	**200,0**	**0,0**	**200,0**
	სუბსიდიები	189,2	200,0		200,0	200,0		200,0
06 02 04	**ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები**	**3,0**	**6,0**	**0,0**	**6,0**	**3,0**	**0,0**	**3,0**
	ხარჯები	**3,0**	**6,0**	**0,0**	**6,0**	**3,0**	**0,0**	**3,0**
	სოციალური უზრუნველყოფა	3,0	6,0	0,0	6,0	3,0	0,0	3,0
06 02 02	**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება**	**292,1**	**406,0**	**40,0**	**366,0**	**370,0**	**0,0**	**370,0**
	ხარჯები	**292,1**	**406,0**	**40,0**	**366,0**	**370,0**	**0,0**	**370,0**
	სოციალური უზრუნველყოფა	292,1	406,0	40,0	366,0	370,0	0,0	370,0
	ხარჯები	**47,2**	**68,3**	**0,0**	**68,3**	**64,5**	**0,0**	**64,5**
	სუბსიდიები	47,2	68,3		68,3	64,5		64,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**0,3**	**109,2**	**65,2**	**44,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**
	ძირითადი აქტივები	0,3	109,2	65,2	44,0	0,0	0,0	0,0
05 02 01	**მუზეუმები**	**46,0**	**52,7**	**0,0**	**52,7**	**61,5**	**0,0**	**61,5**
	ხარჯები	**46,0**	**51,7**	**0,0**	**51,7**	**61,5**	**0,0**	**61,5**
	სუბსიდიები	46,0	51,7		51,7	61,5		61,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**0,0**	**1,0**	**0,0**	**1,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**
	ძირითადი აქტივები	0,0	1,0	0,0	1,0	0,0	0,0	0,0
05 02 01	**ძეგლთა დაცვის ხარჯები**	**6,3**	**8,1**	**0,0**	**8,1**	**10,0**	**0,0**	**10,0**
	ხარჯები	**6,3**	**8,1**	**0,0**	**8,1**	**10,0**	**0,0**	**10,0**
	სუბსიდიები	6,3	8,1		8,1	10,0		10,0
05 02 02	**კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**	**73,6**	**96,8**	**0,0**	**96,8**	**106,7**	**0,0**	**106,7**
	ხარჯები	**73,6**	**96,8**	**0,0**	**96,8**	**106,7**	**0,0**	**106,7**
	სუბსიდიები	73,6	96,8		96,8	106,7		106,7
05 02 01	**ხელოვნების სკოლა**	**128,4**	**109,2**	**0,0**	**109,2**	**105,0**	**0,0**	**105,0**
	ხარჯები	**104,1**	**105,0**	**0,0**	**105,0**	**105,0**	**0,0**	**105,0**
	სუბსიდიები	104,1	105,0		105,0	105,0		105,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**24,3**	**4,2**	**0,0**	**4,2**	**0,0**	**0,0**	**0,0**
	ძირითადი აქტივები	24,3	4,2	0,0	4,2	0,0	0,0	0,0
05 03	**საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**	**17,4**	**28,8**	**0,0**	**28,8**	**32,0**	**0,0**	**32,0**
	ხარჯები	**17,4**	**28,8**	**0,0**	**28,8**	**32,0**	**0,0**	**32,0**
	სუბსიდიები	17,4	28,8		28,8	32,0		32,0
05 04	**ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**	**59,0**	**68,0**	**0,0**	**68,0**	**70,0**	**0,0**	**70,0**
	ხარჯები	**57,5**	**68,0**	**0,0**	**68,0**	**70,0**	**0,0**	**70,0**
	საქონელი და მომსახურება	3,0	3,0	0,0	3,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები	54,5	65,0		65,0	70,0		70,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,5**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**
	ძირითადი აქტივები	1,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 01	**ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა" და ხალხური სიმღერის სკოლა"**	**37,1**	**50,0**	**0,0**	**50,0**	**50,0**	**0,0**	**50,0**
	ხარჯები	**37,1**	**50,0**	**0,0**	**50,0**	**50,0**	**0,0**	**50,0**
	სუბსიდიები	37,1	50,0		50,0	50,0		50,0
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**575,4**	**693,1**	**40,0**	**653,1**	**675,4**	**0,0**	**675,4**
	შრომის ანაზღაურება	330,6	355,0	0,0	355,0	360,0	0,0	360,0
	საქონელი და მომსახურება	114,8	214,3	0,0	214,3	257,6	0,0	257,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**4,6**	**4,0**	**0,0**	**4,0**	**2,0**	**0,0**	**2,0**
	ძირითადი აქტივები	4,6	4,0	0,0	4,0	2,0	0,0	2,0
01 02	**მუნიციპალიტეტის გამგეობა**	**1 253,9**	**1 509,0**	**0,0**	**1 509,0**	**1 276,6**	**0,0**	**1 276,6**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	**95,0**	**93,0**		**93,0**	**98,0**		**98,0**
	ხარჯები	**1 241,6**	**1 325,5**	**0,0**	**1 325,5**	**1 271,6**	**0,0**	**1 271,6**
	შრომის ანაზღაურება	732,3	891,0	0,0	891,0	891,0	0,0	891,0
	საქონელი და მომსახურება	509,3	434,5	0,0	434,5	380,6	0,0	380,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**12,3**	**183,5**	**0,0**	**183,5**	**5,0**	**0,0**	**5,0**
	ძირითადი აქტივები	12,3	183,5	0,0	183,5	5,0	0,0	5,0
01 03	**სარეზერვო ფონდი**	**71,0**	**50,0**	**0,0**	**50,0**	**50,0**	**0,0**	**50,0**
	ხარჯები	**71,0**	**50,0**	**0,0**	**50,0**	**50,0**	**0,0**	**50,0**
	საქონელი და მომსახურება	71,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
01 05	**შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები**	**2,3**	**5,0**	**0,0**	**5,0**	**5,0**	**0,0**	**5,0**
	ხარჯები	**2,3**	**5,0**	**0,0**	**5,0**	**5,0**	**0,0**	**5,0**
	საქონელი და მომსახურება	2,3	5,0	0,0	5,0	5,0	0,0	5,0
01 09	**ჰერალდიკა**	**4,6**	**8,0**	**0,0**	**8,0**	**8,0**	**0,0**	**8,0**
	ხარჯები	**4,6**	**8,0**	**0,0**	**8,0**	**8,0**	**0,0**	**8,0**

დედოფლისწყაროს 2016 წლის ადგილობრივი ბიჯეტის პროექტი

მესამე გვერდიდან

	საქონელი და მომსახურება	4,6	8,0	0,0	8,0	8,0	0,0	8,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	576,7	621,6	0,0	621,6	108,4	0,0	108,4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	57,0	57,0	0,0	57,0	9,0	0,0	9,0
	ხარჯები	576,7	621,6	0,0	621,6	108,4	0,0	108,4
	შრომის ანაზღაურება	485,3	85,7	0,0	85,7	77,0	0,0	77,0
	საქონელი და მომსახურება	74,3	35,5	0,0	35,5	31,4	0,0	31,4
	გრანტები	0,0	500,4	0,0	500,4	0,0	0,0	0,0
	სხვა ხარჯები	17,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	484,3	513,2	0,0	513,2	0,0	0,0	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	48,0	48,0		48,0	0,0		0,0
	ხარჯები	484,3	513,2	0,0	513,2	0,0	0,0	0,0
	შრომის ანაზღაურება	411,8	8,7	0,0	8,7	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	55,4	4,1	0,0	4,1	0,0	0,0	0,0
	გრანტები	0,0	500,4	0,0	500,4	0,0	0,0	0,0
	სხვა ხარჯები	17,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 03	ქვეყნის, თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	92,4	108,4	0,0	108,4	108,4	0,0	108,4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	9,0	9,0		9,0	9,0		9,0
	ხარჯები	92,4	108,4	0,0	108,4	108,4	0,0	108,4
	შრომის ანაზღაურება	73,5	77,0	0,0	77,0	77,0	0,0	77,0
	საქონელი და მომსახურება	18,9	31,4	0,0	31,4	31,4	0,0	31,4
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3 378,0	3 529,8	2 324,9	1 204,9	784,5	0,0	784,5
	ხარჯები	660,5	780,3	0,0	780,3	784,5	0,0	784,5
	საქონელი და მომსახურება	660,5	780,3	0,0	780,3	784,5	0,0	784,5
	არაფინანსური აქტივების	2 717,5	2 749,5	2 324,9	424,6	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	2 717,5	2 749,5	2 324,9	424,6	0,0	0,0	0,0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	1 842,2	1 013,7	733,5	280,2	74,5	0,0	74,5
	ხარჯები	66,8	74,5	0,0	74,5	74,5	0,0	74,5
	საქონელი და მომსახურება	66,8	74,5	0,0	74,5	74,5	0,0	74,5
	არაფინანსური აქტივების	1 775,4	939,2	733,5	205,7	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	1 775,4	939,2	733,5	205,7	0,0	0,0	0,0
03 02 04	დასუფთავების ღონისძიებები	433,8	525,0	0,0	525,0	525,0	0,0	525,0
	ხარჯები	433,8	525,0	0,0	525,0	525,0	0,0	525,0
	საქონელი და მომსახურება	433,8	525,0	0,0	525,0	525,0	0,0	525,0
03 02 04	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	66,1	123,4	123,4	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	66,1	123,4	123,4	0,0	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	66,1	123,4	123,4	0,0	0,0	0,0	0,0
03 02 01	მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია	0,0	2,0	0,0	2,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების	0,0	2,0	0,0	2,0	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	0,0	2,0	0,0	2,0	0,0	0,0	0,0
03 02 02	წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	689,0	1 244,8	1 203,6	41,2	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	9,4	9,2	0,0	9,2	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	9,4	9,2	0,0	9,2	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების	679,6	1 235,6	1 203,6	32,0	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	679,6	1 235,6	1 203,6	32,0	0,0	0,0	0,0
03 02 03	გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	191,9	314,3	116,1	198,2	180,0	0,0	180,0
	ხარჯები	123,2	148,5	0,0	148,5	180,0	0,0	180,0
	საქონელი და მომსახურება	123,2	148,5	0,0	148,5	180,0	0,0	180,0
	არაფინანსური აქტივების	68,7	165,8	116,1	49,7	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	68,7	165,8	116,1	49,7	0,0	0,0	0,0
03 02 04	საექსპერტო მომსახურების, სატრანსპორტო საშუალებების გაფორმების და საკადასტრო რუკების	0,1	5,0	0,0	5,0	5,0	0,0	5,0
	ხარჯები	0,1	5,0	0,0	5,0	5,0	0,0	5,0
	საქონელი და მომსახურება	0,1	5,0	0,0	5,0	5,0	0,0	5,0
03 03	კეთილმოწყობის ღონისძიებები	127,7	283,5	148,3	135,2	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების	127,7	283,5	148,3	135,2	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	127,7	283,5	148,3	135,2	0,0	0,0	0,0
03 02 05	საკონტროლო აპარატურის შეძენა	27,2	18,1	0,0	18,1	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	27,2	18,1	0,0	18,1	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	27,2	18,1	0,0	18,1	0,0	0,0	0,0
04 00	განათლება	1 088,4	1 201,8	161,9	1 039,9	1 200,0	0,0	1 200,0
	ხარჯები	757,5	1 000,0	0,0	1 000,0	1 200,0	0,0	1 200,0
	სუბსიდიები	757,5	1 000,0	0,0	1 000,0	1 200,0	0,0	1 200,0
	არაფინანსური აქტივების	330,9	201,8	161,9	39,9	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	330,9	201,8	161,9	39,9	0,0	0,0	0,0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1 088,4	1 201,8	161,9	1 039,9	1 200,0	0,0	1 200,0
	ხარჯები	757,5	1 000,0	0,0	1 000,0	1 200,0	0,0	1 200,0
	სუბსიდიები	757,5	1 000,0		1 000,0	1 200,0		1 200,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	330,9	201,8	161,9	39,9	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	330,9	201,8	161,9	39,9	0,0	0,0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	884,2	1 202,9	114,3	1 088,6	1 120,0	0,0	1 120,0
	ხარჯები	743,7	972,1	0,0	972,1	1 120,0	0,0	1 120,0
	საქონელი და მომსახურება	3,0	3,0	0,0	3,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები	740,7	969,1	0,0	969,1	1 120,0	0,0	1 120,0
	არაფინანსური აქტივების	140,5	230,8	114,3	116,5	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	140,5	230,8	114,3	116,5	0,0	0,0	0,0
05 01 01	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	155,7	211,5	0,0	211,5	260,3	0,0	260,3
	ხარჯები	155,7	211,5	0,0	211,5	260,3	0,0	260,3
	სუბსიდიები	155,7	211,5		211,5	260,3		260,3
05 01 02	სპორტული დარბაზების/მოედნების შეძენა/მშენებლობა	114,4	65,4	49,1	16,3	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების	114,4	65,4	49,1	16,3	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	114,4	65,4	49,1	16,3	0,0	0,0	0,0
05 02 01	ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციული ხარჯები	53,9	81,7	0,0	81,7	74,0	0,0	74,0
	ხარჯები	53,9	81,7	0,0	81,7	74,0	0,0	74,0
	სუბსიდიები	53,9	81,7		81,7	74,0		74,0
05 02 01	კულტურის სახლები	144,9	253,2	0,0	253,2	286,0	0,0	286,0
	ხარჯები	144,9	202,2	0,0	202,2	286,0	0,0	286,0
	სუბსიდიები	144,9	202,2		202,2	286,0		286,0
	არაფინანსური აქტივების	0,0	51,0	0,0	51,0	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	0,0	51,0	0,0	51,0	0,0	0,0	0,0
05 02 01	ბიბლიოთეკები	47,5	177,5	65,2	112,3	64,5	0,0	64,5

ფერმერული კოოპერატივების გაძლიერება საქართველოს მუნიციპალიტეტებში

ევროკავშირი ფერმერული კოოპერატივებისთვის პროექტების კონკურსს ატარებს

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ,,მერსი ქორფსი“ პროექტების კონკურსს ახორციელებს.

პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული და ახალი ფერმერული ჯგუფების დატრენინგება და მათი დაფინანსება 15 000 ევროიანი ქვეგრანტით, რაც ფერმერთა ჯგუფის მინიმუმ 30%-იან მონაწილეობას გულისხმობს. ამ ფორმით საქართველოს მასშტაბით 70 პერმერული გაერთიანება შეირჩევა. დღეისათვის ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში უკვე დაფინანსებულია 50 პროექტი. დედოფლისწყაროელი ფერმერებისთვის კონკურსი ნოემბრის ბოლოს დაიწყება.

პროექტის ხელმძღვანელმა რიჩარდ მაქსვილდმა და კახეთის რეგიონის კოორდინატორმა ირაკლი ღოღობერიძემ კონკურსის შესახებ ინფორმაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს გააცნეს. შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი გიორგი ბენაშვილი და გამგეობის მთავარი სპეციალისტი საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ანა ბენაშვილი ესწრებოდნენ.

პროექტების კონკურსი საქართველოს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერით ხორციელდება და მას ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგში ევროკავშირი აფინანსებს.

პროექტის ხელმძღვანელები კონკურსით დაინტერესებულ ჯგუფებს 19 ნოემბერს, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში დღის თორმეტ საათზე შეხვდებიან.

მეეზოვის ერთი დღე

არიან ადამიანები, რომელთა საქმიანობაც დიდ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი უჩინარნი არიან საზოგადოებისთვის. წარმოვიდგინოთ ერთი დღე მეეზოვეების გარეშე. ასეთ შემთხვევაში ჩვენს ქუჩებს ნაგვის გროვები „დაამშვენებს“, ადამიანებს კი უკმაყოფილების გამომწვევი შეძახილები ხშირად წაგვცდება...

მეეზოვეები ყველანაირ ამინდში – ქარში, ავდარში, სიცივესა თუ სიცხეში დილიდან ქუჩაში არიან, რათა ჩვენ სუფთა ქუჩებზე ვიაროთ. შესაძლოა, ამაზე ხშირად არც ვფიქრობთ, მაგრამ ჩვენი დასუფთავებული ქუჩების უკან დასუფთავების სამსახური, კერძოდ „სერვისი 2007“-ის თანამშრომლები დგანან, რომელთა შრომას დანახვა და დაფასება სჭირდება. დავფიქრდი მათ ყოველდღიურობაზე, პროფესიულ ხვედრზე და სურვილი მიჩნდება, ერთხელ მათ ცხოვრებაზეც დავწერო...

– როგორია თქვენი ყოველდღიურობა, როგორი დღის რეჟიმით ცხოვრობთ, რას აკეთებთ ყოველდღე და რა გევალებათ, მომიყევით, რომ თქვენი ყოფა უფრო კარგად აღვწერო...

– მე ლალი წიკლაური ვარ, დღიდან ამ სამსახურის შექმნისა, აქ ვმუშაობ. დილის 8-ის ნახევრიდან სამსახურში ვარ, ზაფხულობით 5 საათზე ვიწყებთ, რადგან ადრე თენდება, ზამთრის სეზონზე კი 7 საათზე გამოვდივართ. ყველას, თითოეულ თანამშრომელს ქუჩები გვაქვს განაწილებული, მას რომ მოვრჩებით, შემდეგ ერთმანეთს ვეხმარებით. დღის 3 საათზე სამუშაოს ვამთავრებთ, ცენტრში ვიყრით თავს, ცოცხებს და სხვა საჭირო ნივთებს ვინახავთ და შემდეგ სახლებში მივდივართ. 2007 წლის აგვისტოდან ამ სამსახურში ვარ, მართალია, ხელფასი ცოტა ნაკლები გვაქვს, 208 ლარს ვიღებთ ხელზე, მაგრამ მე ბედს არ ვემდური, მაინც ვმადლობ უფალს, რომ ეს სამუშაო მაქვს და ჩემს შვილებთან ხანდახან ჩემი წილი საკვები მიმაქვს, ქალი, რამდენი შვილიც არ უნდა გაზარდოს, მაინც ამაყია, როცა თავისი ფული აქვს და ოჯახს რაღაცით ეხმარება.

-როგორ ფიქრობთ, რა არის ის შრომა, რასაც თქვენ ეწევით, რას დაარქმევდით თქვენს მიერ განვლილ ცხოვრებას?

-ისევე როგორც ყველა პროფესია, ჩვენც, შესაძლოა, უბრალო, მაგრამ ამავე დროს, ძალიან საჭირო და აუცილებელი ხალხი ვართ. ფილმი “ვერის უბნის მელოდიები” გაიხსენეთ, რამდენად საჭირო გახდა პრისტავისთვის ერთი უბრალო მრეცხავი ქალი ვარდო, რომ მის გარეშე თანამშრომლებმა მუშაობაზე უარი განაცხადეს, და ნახეს, რაც დატრიალდა, - ქალაქში სიბინძურემ დაისადგურა! ასეთი პროფესია გვაქვს ჩვენც, მოყვრის თუ მტრის, დამხდურის, მიმსვლელის თუ მომსვლელის, პირველი დასანახი რაც გახლავთ, ეს სუფთა ქუჩებია. აბა, ჩვენ ერთი დღეც არ ვიმუშავოთ, რას დაემსგავსება ჩვენი ქუჩები, მალე შეეტყობა უჩვენობა აქაურობას! აი, ეს გახლავთ ჩვენი სამსახური, - ამბობს ცისკარაული ცაცა.

– რა გიჭირთ, რა გილხინთ, რა გინდათ რომ საზოგადოებას უთხრათ?

– ოთხი შვილის დედა და სამი შვილიშვილის ბებია ვარ, მთელი ჩემი ცხოვრება შრომასა და ჯაფაში გამიტარებია, ერთი დღე უმუშევარი არ ვყოფილვარ, ერთი შვილიღა დამრჩა დასაბინავებელი, მასაც დავაბინავებ და ცხოვრებასთან დასამდური არაფერი მექნება. მართალია, მეეზოვე ვარ, მაგრამ თავს დამცირებულად არ ვგრძნობ, მე ის ხალხი უფრო მეცოდება, რომლებიც ვერ მუშაობენ და ლუკმის შოვნა უჭირთ.

– რამდენიმემ აღნიშნეთ, რომ უმაღლესი განათლებით ხართ და წლები მსახურობდით სხვადასხვა სამსახურში. მერე კი მეეზოვედ დაიწყეთ მუშაობა. კარგია, რომ საქართველოში მთავრდება კუდაბზიკობის ხანა და შრომის დაფასება იწყება...

– არც ერთი წუთით არ ვგრძნობთ თავს დამცირებულად, პირიქით, ძალიან ამაყები ვართ, რომ შრომაში ვატარებთ ცხოვრებას, ვიდრე უსაქმურობაში. შრომა ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს, მართალი ხართ, ხშირად გვწყინს და გვტკივა ხოლმე ის, რომ მეეზოვეებს კი არა „მენაგვეებს“ გვეძახიან, ისიც არ ესმით, რომ ჩვენს პროფესიას სცენ პატივი, ხშირად მოქალაქეებისგანაც გვიგვრძვნია უხეში დამოკიდებულება, ან ცხვირაბზუებით გაუვლიათ, შენიშვნაც მოუციათ უხეშად - ეს ყველაფერი გულს გვტკენს, რა თქმა უნდა. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ჩვენც ამ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები ვართ და გული არ უნდა გვატკინონ. სულაც არაა სათაკილო, რომ მეეზოვედ ვმუშაობთ, აქ ყველა თავისი ქვეყნისთვის, შვილებისთვის და ოჯახისთვის დგას სამსახურში, სხვა მოტივაცია რა უნდა გაგვაჩნდეს, რომ სიცივესა და ყიამათში, სიცხესა და ქარში, ქუჩაში ვიდგეთ?! -ცხადია, არაფერი. დიახ, ბევრი ჩვენგანი უმაღლესი განათლებით ვართ, მაგრამ უნდა გაგიმხილოთ, არც აქ მიღება და ამ სამსახურში მოხვედრაა ადვილი, აქაც რთულია მიღება, იცით, რამდენი ადამიანი დაგვნატრის, რამდენს უნდა აქ მუშაობა?! ჩვენ ამ თვალით ვუყურებთ და ვფიქრობთ, ესაა საკითხისადმი სწორი მიდგომა. ასეთი ფიქრით გვიადვილდება ცხოვრებაც და მუშაობაც, ჩვენი მუშაობა არ არის რთული, ადამიანს თუ შრომა არ ეზარება, ყოველთვის შეინახავს თავს და ლუკმა-პურს ყოველთვის იშოვის, მთავარი ის კი არაა, სხვა რას ფიქრობს ამა თუ იმ საკითხზე, არამედ ის, შენ რა მიგაჩნია სწორად. ასე სხვისი თვალით და ფიქრით რომ ვიცხოვროთ, შესაძლოა, ხელფეხიც ვერ გაატოკო ადამიანმა და მშიერი დარჩე, ჩვენ კი, ასე არ გვინდა!

– როგორ უყურებთ დღევანდელობას?

– იმედის თვალით, იმედი არ უნდა დაკარგოს ადამიანმა. ჩვენ, ჩვენი გაჭირვების გამო სხვა ქვეყანაშიც წავსულვართ და გვიმუშავია, მაგრამ უკან დავბრუნებულვართ, ისევ აქ ვხვეტოთ ათჯერ მეტი ნაგავი ის გვირჩევია, ვიდრე იქ ვიყოთ და ის მძიმე შრომა ავიტანოთ, რაც იქ გვინახავს, სამშობლოს ფასი არაფერია! დღესდღეობით ცხოვრება ნამდვილად გაჭირდა, დოლართან მიმართებაში ლარი გაუფასურდა და ამ ფაქტორმა ჩვენზეც ჰპოვა ასახვა, მაგრამ მომავალს მაინც იმედის თვალით ვუყურებთ. გვჯერა, ჩვენი ქვეყნის მომავალი გაცილებით უკეთესი იქნება.

– როგორია თითოეულის ოჯახური მდგომარეობა?

– ზოგს შვილიშვილები გვყავს, ზოგს ახალგაზრდა შვილები, აი, ლალი წიკლაური ექვსი შვილის დედა და სამი შვილიშვილის ბებიაა, ყველაზე გმირი დედა ეგ გვყავს, მეექვსე შვილი აქ გაზარდა, „კალიასკით” დაჰყავდა ქუჩებში და ისე გვიდა, მაგრამ სამუშაოს თავი არ დაანება, - ყვებიან მეეზოვეები.

– მე პირადად მოხუც ძმას ვუვლი, ის 72 წლისაა, მეორე წელია ჩაწოლილია, არავინ ჰყავს მომვლელი და მიმხედი, ამიტომ, მის გამო ქმრის სახლში აღარ მივდივარ და მასთან ვრჩები ხოლმე, ძმაა, როგორ დავტოვო ისე. ჭიქა წყლის მიმწოდებელი არავინ ჰყავს. ამას წინათ სიგარეტი დავარდნია და საბანს წაჰკიდებია, კიდევ კარგი, დროზე მივედი, თორემ დაიწვებოდა საწყალი. ჰოდა, იმის გამო რომ მე მას ვუვლი, ვაკითხავ და მასთან ვრჩები,სიტუაციის ახსნის მიუხედავად, ჩემი იქ ცხოვრება დაადფიქსირა აგენტმა, ჩემი ხელფასი დააფიქსირა და დახმარება მოუხსნეს საწყალს. ვუთხარი აგენტ გოგონას, მე სტუმრად ვარ, მე აქ არ ვცხოვრობ- მეთქი და არა და არ გაიგო. მაინც ჩაწერა ჩემი ხელფასიც. მე ვითხოვ დახმარებას და მომვლელს, მას რომ დახმარება და მომვლელი ჰყავდეს, მე იმ სახლში ერთი დღეც არ გავჩერდებოდი. ჩემს სახლში წავიდოდი, ჩემი ძმა ჯუმბერ ჯანიაშვილი უკიდურესად მძიმედაა, ინსულტი გადაიტანა და გონზეც მთლად ვერ არის კარგად, ნუთუ, მისთვის დახმარების მოხსნა შეიძლებოდა?! ჩემი ორასი ლარი მას რას არგებს, მე ჩემს თავს ძლივს ვარჩენ ჩემი ხელფასით, - წუხილს გამოთქვამს ჩვენთან მეეზოვე მარინა ჯანიაშვილი.

– რა გტკივათ ყველაზე მეტად?

– გულისტკენა ისაა, რომ დაუნახავი სამსახური გვაქვს, თქვენ ხართ პირველი, ვინც მოხვედით და მოგვიკითხეთ, გინდათ, რომ ჩვენი შრომა მოიკითხოთ და სხვებსაც დაანახოთ, ჩვენთან სხვა დროს არასოდეს არავინ მოსულა, მეეზოვის დღე იყო მაისში და ისიც არავინ გაიხსენა, არავინ მოგვილოცა...ჩვენი სურვილია, რომ ადამიანებმა ერთმანეთი მეტად დავაფასოთ, ერთმანეთის შრომა დავინახოთ და პატივი ვცეთ თითოეულის მიერ გაწეულ შრომას, რაც არ უნდა იყოს ეს. მერე რა, თუ ჩვენ უბრალო მეეზოვეები ვართ, ვფიქრობთ, ჩვენი პროფესია არავისზე ნაკლებ საჭირო არაა.

– როგორც ქალებს, დედებს, რა გსურთ, რა არის თქვენი ოცნება და სურვილი?

– ჩვენ ყველა დედები ვართ და პირველ რიგში, ჩვენი შვილების ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა გვინდა. ჩვენი სურვილი მარტივია და ყველასთვის გასაგები- მათ არ მოშივდეთ და არაფერი გაუჭირდეთ, ქვეყანაში უკეთესი პირობები შეიქმნას. მთავარია, ქვეყანაში მშვიდობა იყოს, ომი ყველაზე საშინელი რამაა, როცა ყველაფერი აზრს კარგავს; გვინდა, საქართველო მოკლე ხანში ისეთ ქვეყანად იქცეს, რომ ადამიანები სიხარულით დადიოდნენ ქუჩაში. სამართლიანობა იყოს, ყველა თანაბარ პირობებში მუშაობდეს და ყველას ღირსეული ანაზღაურება ჰქონდეს.

ლალი მეხრიშვილი

კვლავ იაკობის სამყაროში...

წელს დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებმა იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175-ე წლისთავს უამრავი ღონისძიება მიუძღვნეს, მათ შორისაა N1 საჯარო სკოლა, სადაც ოქტომბერ-ნოემბერში არაერთი ღონისძიება ჩატარდა იაკობ გოგებაშვილის იუბილეს და მის შემოქმედებას. 12 ნოემბერს, N1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა და მათმა პედაგოგებმა, დაწყებითი კლასის პედაგოგისა და პედაგოგთა მეთოდგაერთიანების თავმჯდომარის, გამორჩეული ღონისძიებების ავტორის მარინა ინასარიძის ორგანიზატორობით, კიდევ ერთი ულამაზესი და შემაჯამებელი ღონისძიება მოაწყვეს იაკობ გოგებაშვილის იუბილესთან დაკავშირებით.

პედაგოგების - ლეილა ფიროსმანაშვილის, ნელი შოშიაშვილის, ნონა პოპიაშვილის, ქეთინო დავითაშვილის, ნინო ოქროპირიძის, ციცო კევლიშვილის, ბელა სულაშვილისა და მარინა ინასარიძის სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებმა სრული ინფორმაცია მოგვაწოდეს მიწვეულ მშობლებსა თუ პედაგოგებს, დამსწრე საზოგადოებას მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის მიერ სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლის თაობაზე. მონტაჟების მეშვეობით მოახდინეს ილუსტრირება გოგებაშვილის მოთხრობებისა , მოეწყო პრეზენტაცია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, წარმოგვიდგინეს მოზარდებში სამშობლოს თავდადებასა და სიყვარულის შთამაგონებელი მოთხრობა“იავნანამ რა ჰქმნა?“..., რომელიც ამავდროულად ჰუმანიზმსა და ხალხთა მეგობრობასაც გვიქადაგებს. იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში დიდაქტიკური ელემენტი ყოველთვის ორგანულად ერწყმის მხატვრულ რეალიზმს, ხოლო შემოქმედების ძირითადი წყარო ქართული ფოლკლორია. ღონისძიებაზე მხატვრულ ნომრებს თან ერწყმოდა ფოლკლორული ნომრები, შესრულდა ხალხური სიმღერები, ქართული ცეკვები, თავს იწონებდნენ პატარა დეკლამატორები. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ღონისძიების მსვლელობისას ქარიშხალისა და უამინდობის გამო რაიონის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ელექროენერგია გათიშული იყო, მიუხედავად ამისა, ჩვენმა პატარებმა არ შეიმჩნიეს, არ აგრძნობინეს დარბაზს თავიანთი დისკომფორტი, მასწავლებლებს იმედი არ გაუცრუეს და ყველაფერი ისე წარმართეს, როგორც დაგეგმილი იყო. მე თავს უფლებას მივცემ და თითოეული მშობლის სახელით, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩვენს ბავშვებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობისა და ურთიერთგაგებისათვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი ეთერ ზურიკაშვილი, მოწვეული სტუმრები, პედაგოგები, მშობლები.

ელზა ხარაშვილი

ღია გაკვეთილი N2 ბაგა-ბაღში

ღია გაკვეთილი გაიმართა დედოფლისწყაროს მეორე საბავშვო ბაგა-ბაღში. პედაგოგმა თამარ ალადაშვილმა, (თანაშემწე - შორენა ალუღიშვილი, ძიძა -რუსუდან ლაპიაშვილი) თავის აღსაზრდელებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში ღია გაკვეთილი ჩაუტარა. გაკვეთილის თემა უნგრული ხალხური ზღაპარი „სამი ფორთოხალი“ იყო, რომლის ძირითადი იდეა სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი და საბოლოოდ სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებაა. პედაგოგმა გააცნო ბავშვებს, რას ნიშნავს ხალხური ზღაპარი, ვინ შექმნა ის თავდაპირველად და მაგალითისთვის ზემოხსენებულ უნგრელი ხალხის მიერ შექმნილ ზღაპარს მოიყვანა. ზღაპრის გმირი პატარა, ობოლი გოგონაა, რომელმაც გადაწყვიტა შორეულ ქვეყანაში გამგზავრება, გზაში მას ბერიკაცი შეხვდება, შეებრალება და ლურსმანს, ზეთს, პურს, ცოცხს და თოკს მისცემს, შემდეგ, მთელი ზღაპარი იმაზეა აგებული, თუ როგორ გამოიყენა გოგონამ სიკეთის კეთებისთვის ეს ნივთები და როგორ მიაღწია ერთ-ერთ სასახლემდე, სადაც დედაბერს სავარძელში ეძინა, იქვე მაგიდაზე სამი ფორთოხალი იდო, გოგონამ ეს ფორთოხლები უბეში ჩაიდო და გამოვიდა, მაგრამ ბოროტ დედაბერს გაეღვიძა და უკან მდევარი დაადევნა, რათა ფორთოხლები წაერთმია. თუმცა, უკვე უამრავ ადამიანთან გაკეთებული სიკეთის გამო, გოგონა არავინ დაიჭირა, ყველამ ხელი გაუმართა, რათა გზა უპრობლემოდ გამოევლო უკან, თავის სახლამდე. სახლში მისვლისას გოგონას მიერ მოტანილი სამი ფორთოხალი ოქროდ იქცა და მან ეს სიმდიდრე კვლავ სიკეთის კეთებაში და გაჭირვებულის დახმარებაში გამოიყენა. პედაგოგმა ახსნა ბავშვებისთვის ახალი სიტყვები, რაც ზღაპარში შეხვდათ: „ობოლი“, „ღარიბი”, „ღრმა თხრილი”, „გაუჩინარდა”, „ყანყალებდა” და შემდეგ ბავშვებს მიმართა კითხვებით. აღსაზრდელები მარიამ მამისბედაშვილი, ნიკოლოზ მუსაელიანი, ანა მურაკაშვილი, ლინა მენთეშაშვილი, ბექა მეხრიშვილი, ნათია ნასრაშვილი, ლიზი პოპიაშვილი, ნუცა სესიტაშვილი, ქეთევან საბიაშვილი, ანასტასია ტუხაშვილი, გიორგი ქადაგიძე, ლუკა ჭუჭულაშვილი აქტიურად ჩაერთვნენ ღია გაკვეთილის მსვლელობაში და კითხვებს ყოჩაღად პასუხობდნენ, რამაც დამსწრე საზოგადოება და თავად პედაგოგი თამარ ალადაშვილი კმაყოფილი დატოვა.

ღია გაკვეთილმა მოწონება დაიმსახურა, ის გახლდათ ერთიანი, შეკრული და კარგად ორგანიზებული. გაკვეთილს მრავალრიცხოვანი სტუმრები ჰყავდა, მას ესწრებოდა სკოლამდელი და სკოლისგარშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ხუმარაშვილი, ცენტრის სპეციალისტი მაია ცოგოშვილი, რაიონის სამივე საბავშვო ბაღის დირექტორი, ასევე სოფელ გამარჯვების ბაგა-ბაღის დირექტორი. თითოეულმა მათგანმა გაკვეთილი დადებითად შეაფასა.

ლალი მეხრიშვილი

ლადო ათანელი

25 წელი მსოფლიო საოპერო სცენაზე

ამ დღეებში ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა მსოფლიო ბარიტონის -ლადო ათანელის საიუბილეო კონცერტი.

25 წელია, ლადოს ხავერდოვანი ხმა ისმის მსოფლიოს სხვადასხვა პრესტიჟულ საოპერაციო სცენაზე.მის რეპერტუარში 40-მდე საოპერო პერსონაჟია. იგი გვევლინება ვერდის პუჩინოს, ჯორდანოს, ლეონკავალის, მასკანის, მასნეს ოპერების საუკეთესო შემსრულებლად.

საიუბილეო კონცერტი გაიხსნა ვიდეო-კოლაჟით, სადაც ნაჩვენები იყო ლადოს განსახიერებული პერსონაჟები მსოფლიოს პრესტიჟულ საოპერო სცენებზე: ნიუ-ორკი, ლონდონი, პარიზი, ბერლინი, ვენა, მილანი, ჯენერვა, მიუნხენი, ვაშინგტონი, ტოკიო და სხვა.

დარბაზში ჟღერდა თბილისის სიმფონური ორკესტრის მუსიკა ვატო კახიძის დირიჟორობით. ლადო ათანელმა თავის პარტნიორებთან ირაკლი კახიძესა და იანო ალიბეგაშვილთან ერთად შეასრულა პოპულარული არიები ბიზეს, ვერდის, მასკანის, ჯორდანოს, პუჩინის, ფალიაშვილის, ლაღიძის და სხვა ოპერებიდან.

თითოეული არიის შესრულებას ხანგრძლივი აპლოდისმენტები და ოვაციები სდევდა თან.

საიუბილეო კონცერტს ესწრებოდა ბიძინა ივანიშვილი მეუღლით, საქართველოს პატრიაქი ილია II, კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი.

იმ საღამოს ქართველი მსმენელი ნამდვილი საოპერო დღესასწაულის მომსწრე გახდა.

კონცერტის მხატვრული ხელმძღვანელი გახლდათ მანანა ჩიქოვანი-ათანელი, დიზაინერი კახა ბახტაძე. პროდიუსერი ციცო ჯაფარიძე.

საიუბილეო კონცერტის დასასრულს ლადო ათანელმა სამადლობელო სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

ტრაგიკული შემთხვევები

7 ნოემბერს, გამთენიისას, ტრაგედია დატრიალდა სოფელ სამრეკლოში. ბუნებრივი აირის გაჟონვა ორი ადამიანის გარდაცვალების მიზეზი გახდა.

სავარაუდოდ, აბაზანაში დამონტაჟებული გაზის გამათბობელიდან გამოყოფილი ცე-ო-ს გაჟონვის შედეგად ინტოქსიკაციით 32 წლის მამაკაცი და 40 წლის ქალი გარდაიცვალა. ცხედრები სოფელ სამრეკლოში დილით აღმოაჩინეს. მამაკაცი სოფელ სამრეკლოს მკვიდრია, ხოლო მრავალშვილიანი დედა სოფელ ხორნაბუჯში ცხოვრობდა.

როგორც დედოფლისწყაროს მთავარი ექიმი ხათუნა ზურიკაშვილი ამბობს, შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს ორივე ადამიანი გარდაცვლილი დახვდა, რის გამოც მათი სტაციონარში გადაყვანა აღარ მომხდარა.

ცხედრები გურჯაანში გადაასვენეს, გარდაცვალების მიზეზების დასადგენად.

შსს-ს ცნობით, მომხდარზე გამოძიება დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში 115-ე მუხლით მიმდინარეობს. კახეთის რეგიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენლის შორენა ჯახუას განმარტებით, ამ დროისთვის გარდაცვალების მიზეზების დასადგენად ექსპერტები მუშაობენ.

მსხვერპლით დასრულდა კიდევ ერთი უბედური შემთხვევა ამჯერად არბოშიკში. 25 ოქტომბერს სოფელ არბოშიკში მცხოვრებმა მარტოხელა მოხუცმა ღუმელის ანთების დროს სხეულის დამწვრობა მიიღო. ხმაურზე მეზობლებმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟი გამოიძახეს.

თვითმხილველები ჩვენთან საუბრისას ყვებიან, რომ გაზი აალდა და კედლებსაც მოედო. ხმაურზე მეზობლები მოვიდნენ და ცეცხლი მათი დახმარებით ჩააქრეს. სოფელში უბედური შემთხვევის ორ ვერსიაზე საუბრობენ. როგორც ადგილობრივები ამბობენ, 85 წლის მამაკაცს სავარაუდოდ, შეშის ღუმელში კუსტარულად ჰქონდა დამონტაჟებული გაზის მილი, რომელიც აფეთქდა. მეორე ვერსიით კი, ღუმელის ანთების დროს მამაკაცს საწვავი შეეშალა და ნავთის ნაცვლად ბენზინი შეასხა, რამაც აალება გამოიწვია. მოხუცი თბილისის დამწვრობის ცენტრში მომხდარიდან ორი კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

როგორც დედოფლისწყაროს მთავარი ექიმი ხათუნა აგლაძე ამბობს, სტაციონარში მოთავსებისას პაციენტის მდგომარეობა მძიმე არ ყოფილა. მისი თქმით, დამწვრობის ეს ხარისხი მამაკაცის გარდაცვალებას ვერ გამოიწვევდა.

„მრავლობითი დამწვრობა იყო, სახე და ხელებიც დამწვარი ჰქონდა, მაგრამ ვითარება რთული ნამდვილად არ ყოფილა. არც შინაგანი დამწვრობა აღენიშნებოდა. რადგან ასაკოვანი იყო და მრავლობითი დამწვრობა ჰქონდა, ვურჩიეთ, რომ თბილისში გადაეყვანათ და სპეციალისტებს გაესინჯათ," – ამბობს ხათუნა აგლაძე.

სოფელ არბოშიკში ამბობენ, რომ მამაკაცს გულის პრობლემები ჰქონდა და მისი გარდაცვალების მიზეზიც არა დამწვრობა, არამედ გულის გაჩერება იყო.

„მარტოხელა კაცია, ერთი შვილი ამავე სოფელში თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს, მეორე საზღვარგარეთ ჰყავს, ამ სახლში მარტო ცხოვრობს, თუმცა შვილები ყურადღებას აქცევენ. დამოუკიდებლად ცდილობდა. ძალიან კარგი ადამიანი იყო, მაგრამ, გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა," – აღნიშნავენ არბოშიკში.

ილია მარტყოფლიშვილი

გახსენება

ილიკო შარვაძე

2012 წლის 21 ნოემბერს, 38 წლის ასაკში უეცრად გამომეცალე ხელიდან, ჩამოწვა ბინდი და ბურუსი, ძაძებით შეიმოსა შენი უბედური დედა.

გაუსაძლისი ტკივილით გადაფურცლა დრომ უშენობის სამი წელი, თუმცა ვერ უმკურნალა სულის ტკივილსა და უსაზღვრო მონატრებას.

განსაცდელთა შორის უსაშინლესი განცდაა, რაც მე მერგო წილად, ერთადერთი შვილი გამიფრინდი და დატოვე ორი მცირეწლოვანი შვილი ობლად. როცა ამ ქვეყნიდან მიდის შენი სულისა და გულის ნაწილი და მის გარეშე უნდა იცხოვრო, ამის გადმოცემა შეუძლებელია.

შენთან შეხვედრის, შენი გულში ჩახუტების მოლოდინითაა სავსე ეს გაუსაძლისი ცხოვრება. შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება. უშენობის ტკივილი დაუძლეველია და მას ვერაფერი განკურნავს,ჩემო ილიკო!

ძალიან მიკვირს, როგორ მითენდება და მიღამდება უშენოდ, ერთადერთი შვილის დამკარგავ დედას, მაგრამ, ალბათ, ღმერთი მაძლევს ძალას, რომ შენზე ვიზრუნო, ძველებურად მოგიარო და შენს ლამაზ სულს არაფერი მოვაკელო.

ჩემო ილიკო, ყველა ახლობელი და საყვარელი ადამიანი მანდ გყავს, მამა, ბებიები, პაპები, მხოლოდ დედა გაკლია, შვილო. ნუთუ არ გინდა, დედაც რომ იყოს შენთან, მეც წამიყვანე და დავიწყოთ ახლიდან ცხოვრება. ვაშლიჯვარიდან ისევ გადავიდეთ წერეთელზე და ისევ ისე გალაღებული იყავი, როგორც ოცი წლის მანძილზე, ვიდრე მამაშენი დატოვებდა ამ ქვეყანას.

ჩემო ბიჭო, შენ ჩემს ცხოვრებას ალამაზებდი და დიდი სიყვარულით ავსებდი. უშენოდ მე აღარასოდეს ვიქნები ბედნიერი. მენატრება შენი იმედიანი სიტყვები. ყოველთვის მომავლის დიდი იმედი გქონდა. ღმერთი არასოდეს გასწირავს ადამიანს, გაჭირვებაში არ მიატოვებსო. მაგრამ, ვაი, რომ შენი მომავალი სულ სხვანაირად წავიდა, წერტილი დაუსვა შენს სიცოცხლეს და მომავალს ბედისწერამ.

მეამაყებოდა შენი დედობა, ყველაფრით გამორცეული იყავი. ახლაც ეს გრძნობა მაძლევს ძალას, რომ შენს საპატრონოდ ვიცოცხლო, შვილო. შენ ისევ ჩემთან ხარ, ისევ ჩემთან აგრძელებ ცხოვრებას, უკვდავებაა რჩეულთა ხვედრი. ადამიანი ცოცხალია, სანამ მისი ხსოვნა ცოცხლობს, შენისთანა ახალგაზრდას დრო ვერაფერს დააკლებს. შენ სიყვარულის სხივად დარჩები ყველას გულში, ვინც შენ ახლოს გიცნობდა, ჩემო კეთილო და ალალო ბიჭო.

ილიკო, დედი, შენი ამ ქვეყნიდან წასვლა ბედისწერა იყო. ეს ბედისწერა მეც მომიყვანს შენთან, მაგრამ, სანამ ეს მოხდება, სანამ შევხვდებით, ვილოცებ შენთვის და როცა შევხვდებით, გულში ჩაგიხუტებ უზომოდ მონატრებულს და გეტყვი: „მაპატიე, შვილო, რომ დავაგვიანე".

შენს საფლავზე ვანთებ სანთელებს და ჩუმად გეჩურჩულები ჩემს უდიდეს დარდსა და სევდაზე, ჩემო ერთადერთო საფიცარო შვილო.

იძინე მშვიდად, ჩემო დედისერთავ, ნურაფერი შეაწუხებს შენს სულს, ნუ გეშინია, ყველაფერი როდი მთავრდება სამარის კართან, მჯერა, რომ სამოთხეშიც ნათელ ადგილს მიგიჩენდა უფალი.

შენი უბედური და მონატრებული
დედა ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

დავით (უფლისა) ოზბეთელაშვილი



13 ნოემბერს 9 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, რითაც მოურჩენელი ტკივილი დაგვიტოვე. გულსაკლავია ჩვენთვის, რომ ვერ გაიხარე შვილიშვილების კარგი სწავლითა და დიდი მიღწევებით სპორტში. ცოტა ადრე იყავი ორგზის ევროჩემპიონის პაპა და ახლა გახდი მსოფლიო ჩემპიონის პაპა. ასე გასახელა შენმა მოსახელე დავითმა(დაჩიკომ). ბევრი გაფასებს შენი ადამიანობით, რადგან ყველას თანაბრად უნაწილებდი სიკეთეს, სითბოს და სიყვარულს. მეტი რა დაგვრჩენია, ავანთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენი სულისათვის. უფალმა ნათელში გამყოფოს.

შენ ეს ცხოვრება ლხინში ატარე,
სიცოცხლე გქონდა არა სამეოფი,
იმ ქვეყანაში ბინა მოიწყე,
სადაც არასდროს იყავ ნამეოფი.

შენი მეუღლე ქეთევან ოზბეთელაშვილი.

ივანე ნაზარეთიანი

ვაი, რა საშინელი უბედურება დაგვატყდა თავს, შვილო! ჩვენ ხომ შენი ქორწილისთვის ვემზადებოდით და შენი შვილების დაზრდაზე ვოცნებობდით. მაგრამ მუხთალმა ბედისწერამ 32 წლის ასაკში გამოგვაცალა ხელიდან შენი ჩანჩქერივით მჩქეფარე, ლაღი სიცოცხლე.

როგორი თბილი და ყურადღებიანი იყავი , როგორ თანაუგრძნობდი ყველას.

მანქანა რომ იყიდე, მარტო იმას ცდილობდი, როგორ დახმარებოდი მეზობლებსა თუ თანასოფლელებს, ნებისმიერ დროს უანგაროდ და დაუზარელად ემსახურებოდი ყველას, ვისაც სადმე წაყვანა თუ მოყვანა დასჭირვებია. ჩვენ კი ასე გვეხუმრებოდი: „სულ რომ სიკეთის კეთებას მიჩჩინებდით, იმიტომაც ვარ ასეთიო, ან როგორ გავანბილო ის, ვისაც მე იმედად ვეგულებიო". ნეტავ ასეთი კარგიც არ ყოფილიყავი, ღმერთიც თუ კარგებს ირჩევს, ჩვენ მაინც რა დავუშავეთ იმ დალოცვილს! უფალს ებარებოდე ჩვენო სიცოცხლეზე თვალდარჩენილო შვილო!

მშობლები: საშკა, მარინა; **ძმა** ვალერი ნაზარეთიანები.

● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ●

ცამოწმენდილზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი მოულოდნელი სიკვდილი ჩვენთვის.

როგორ დაგვზაფრა შენი მეგობრები შენმა უეცარმა და თავზარდამცემმა მუხთალმა ბედისწერამ. რა ეშველება იმ ტკივილსა და სიცარიელეს, რაც შენი წასვლით დატოვე შენს საძმაკაცოში.

როგორი სამაგალითო და სტიმულის მომცემი ვაჟკაცი გამოგვაკლდი. ალბათ, წინასწარ გრძნობდი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ გქონდა ამ წუთისოფელში და ამიტომაც ცდილობდი, მრავალი სიკეთე დაგეტოვებინა შენს საახლობლოში.

ჩვენც კარგად ვხედავდით, რა მთისხელა გულის პატრონი იყავი და ნებისმიერ ჩვენგანს რომ ეთხოვა, იმ გულსაც ამოიგლეჯდი და ხელისგულზე დადებულს უშურველად ჩვენ მოგვართმევდი.

ნეტავ ჩვენგანაც თუ გრძნობდი იმ სითბოსა და სიყვარულს, რასაც ჩვენგანაც იმსახურებდი. ვფიქრობთ გაოგნებულები და ვნანობთ, რატომ უფრო მეტად და მეტად არ გეფერებოდით .

ამიერიდან შენს მარადიულ სამყოფელში დაემკვიდრები, თუმცა, ჩვენს შორისაც მარადიულად იარსებებს შენი ხსოვნა და სახელი. შევეცდებით, ჩვენი ახლოს ყოფნით შენიანებსაც როგორმე შევუმსუბუქოთ ეს ტრაგედია.

ვაი, რომ ახლა ამის მეტი აღარაფერი შეგვიძლია შენს სამეგობროს.

სამეგობროს სახელით: ვაჟა ტოკლიკიშვილი, მიშა ნატროშვილი, ლევან ბენაშვილი, ზურაბ ბოსტოღანაშვილი, ვალერი გოგილაშვილი, მამუკა ქისტაური, ვიტალი ყოჩიაშვილი.

გამოსათხოვარი

ნელი მაძღარაშვილი

ადამიანის სიცოცხლე ერთი წამია, ერთი გაელვებაა. ამ ტკივილიან სტრიქონებს ახლა შენზე ვწერთ, ჩვენო ნელი. არაერთი ღონისძიების სულისჩამდგმელი იყავი და მუდამ სიხარული შემოგქონდა სკოლის ცხოვრებაში. კოლექტივთან ერთად გატარებული საუკეთესო წლები, სამწუხაროდ, მხოლოდ მოგონებებში დაგვრჩა. მძიმე ავადმყოფობამ გამოგვაცალა ხელიდან შენი თავი. წახვედი და შენს ვაჟკაცს -ილიას დაუტოვე ყველა ის საზრუნავი და საფიქრალი , რომელიც შენს ძლიერ მხრებს ეჭირა. ილია ჭკვიანია და ყველაფერს გაუძლებს.

იყავი სამაგალითო დედა, სამაგალითო და, სამაგალითო შვილი, სამაგალითო მეგობარი, უბრალოდ- ერთი კეთილი ქართველი ქალბატონი.

მშვიდობით, „ნელი ბიძინოვნა!"

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედკოლექტივი.

დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის X-ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მზია ტარყაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ჯულიეტა შარმაზანაშვილს

პაპის

გარდაცვალების გამო.

პრიორიტეტები განიხილეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა. ერთობლივ სხდომას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი უძღვებოდნენ.

გაერთიანებულ სხდომაზე მიმდინარე პროექტებზეც ისაუბრეს.

ყურადღება!

დედოფლისწყაროს სათემო ორგანიზაცია „ხორნაბუჯი“, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიური სახლის“ დაფინანსებით დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის ორგანიზებას უწევს და ატარებს მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებით კონფერენციას თემაზე „ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობები“.

მოსწავლეთა ნაშრომები შეიძლება ეხებოდეს როგორც საქართველოში რუსული კულტურის კერებსა და მოღვაწეებს, ისე რუსეთის კულტურულ და სამეცნიერო ცხოვრებაში ქართველთა მიერ შეტანილ წვლილს.

მოსწავლეთა ნაშრომების სავარაუდო თემატიკა:

ქართველი მწერლები და პოეტები რუსეთში, მათი შემოქმედების მოკლე მიმოხილვა;

ქართული სამეფო ოჯახის წარმომადგენლები და მათი შთამომავლები რუსეთში;

რუსი მწერლები საქართველოს და ქართული კულტურის შესახებ;

ქართველი მეცნიერების წვლილი საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში;

ქართველი მუსიკოსები რუსეთში;

ქართველი თეატრის და კინოს მოღვაწეები რუსეთში;

ქართველი სპორტსმენები რუსეთში;

ქართველი მხატვრები რუსეთში;

ქართველი სამხედრო პირები რუსეთში;

ქართველი პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები რუსეთში;

ქართველი ჟურნალისტები რუსეთში.

დედოფლისწყაროელი ცნობილი ადამიანები და მათი შთამომავლები რუსეთში.

მოსწავლეებმა შეიძლება გამოიყენონ როგორც ნაბეჭდი სამეცნიერო და საინფორმაციო მასალა, ისე ინტერნეტი. ნაშრომში აუცილებლად უნდა მიეთითოს გამოყენებული წყაროს დასახელება, ავტორი, გამოქვეყნების წელი, გვერდი და ინტერნეტ-მისამართი.

მოსწავლეთა ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იყოს Ms. Word და Ms. Power Point ფორმატში როგორც ნაბეჭდი სლაიდების, ისე ელექტრონული სახით. (ამ კუთხით კონსულტაციებს და ტექნიკურ დახმარებას მოსწავლეებს გაუწევენ ორგანიზატორები).

სასურველია, ნამუშევარს ერთვოდეს სათანადო ფოტომასალა (ან აუდიომასალა).

ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

Ms. Word -ის ფორმატში შესრულებული ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს Sylfaen 11 ზომის შრიფტით, სტრიქონებს შორის 1 ინტერვალით არაუმეტეს A4 ფორმატის 3 გვერდისა, ხოლო Ms. Power Point -ის შემთხვევაში –არაუმეტეს 20 სლაიდისა.

საუკეთესო ნაშრომებისათვის დაწესებულია სამი პრემია:

I ადგილი-80 ლარი;

II ადგილი -60 ლარი;

III ადგილი-40 ლარი.

ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 30 ოქტომბერი.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, 9 ძმის ქ. N10, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

საკონტაქტო პირები:

მანანა ყატაშვილი-599 572 842,

ლალი გურასპაული — 595 090 774

წარმოდგენილი მასალის პრეზენტაცია, სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორი მონახილის გამოვლენა და დაჯილდოება მოეწყობა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 2015 წლის 9 დეკემბერს.

კონფერენციის მასალები განთავსდება ვებ-გვერდზე:

www.ngokhomabuji.wordpress.com/

ზებრა გადასასვლელზე გზის არდათმობა 20 ლარით ჯარიმდება

ქალაქში მოძრაობის წესები ჯერ კიდევ ძველ რომში, იულიუს ცეზარმა დააწესა. მისი ბრძანების თანახმად, რომის ზოგიერთ ქუჩაში ცალმხრივი მოძრაობა შემოიღეს. სამუშაო დღის დამთავრებამდე აკრძალული იყო კერძო ეტლების და ეკიპაჟების გავლა. ქალაქში ჩამოსულებს ტრანსპორტი ქალქგარეთ უნდა დაეტოვებინათ და რომში ფეხით ევლოთ ან პალანკინი დაექირავებინათ. რომის იმპერიის გზებზე მარცხენამხრიანი მოძრაობა იყო მიღებული, რათა მარჯვენა (შეიარაღებული) ხელი თავისუფალი ყოფილიყო. წესრიგის დასაცავად საგანგებო სამსახურიც შეიქმნა, რომელშიც ძირითადად ყოფილი მონები მსახურობდნენ. მათ ძრითად მოვალეობას სატრანსპორტო საშუალებების მეპატრონეთა შორის კონფლიქტების და ჩხუბის თავიდან აცილება წარმოადგენდა . თუმცა მრავალი გზაჯვარედინი რომში მაინც უკონტროლო რჩებოდა. ხოლო დიდებულებს ქალაქში შეუფერხებელი გაადგილების უზრუნველყოფა შეეძლოთ — ეტლის წინ შიკრიკს აგზავნიდნენ, რომელიც ბატონისთვის გზას ანთავისუფლებდა.

ძველ რომთან შედარებით დღევანდელ თბილისში სატრანსპორტო მოძრაობა მეტად გადატვირთულია, თუმცა მაინც მოუწესრიგებელი. ყოველწლიურად საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მრავალი ადამიანი სხვადასხვა სახის ტრავმას იღებს. საგზაო მოძრაობის წესრიგის დაცვა და შესაბამისი რეგულაციების შემოღება ქვეყანაში არა მხოლოდ ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელს, არამედ მგზავრთა და ქვეითთა ტრავმირების რიცხვს და შემდგომი მკურნალობის ხარჯებს შეამცირებს.

გზების და სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგების გარდა პრევენციის ერთერთი ზომა სიჩქარის შეზღუდვა და ჯარიმის ოდენობის გაზრდაა, მიაჩნია ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დამფუძნებელს, ექსპერტ გელა კვაშილავას.

„ავტოსაგზაო შემთხვევის პრევენცია მეტად ეკონომიურია, ვიდრე შემდგომი ხარჯები. სამწუხაროდ, 2014 წელს შეამცირეს სიჩქარის დარღვევისთვის ჯარიმის ოდენობა, არადა ძირითდად ამ წესის დარღვევის გამო იღუპება უამრავი ახალგაზრდა ადამიანი.

რატომღაც ყველას ჰგონია, რომ საგზაო მოძრაობის მოწესრიგება მხოლოდ ერთი რომელიმე ინსტიტუტის მოსაგვარებელი საქმეა. საჭიროა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობა. გამართული უნდა იყოს გზების და მოძრაობის სისტემა, უნდა დაწესდეს შეზღუდვები სიჩქარეზე, დროული უნდა იყოს სამედიცინო დახმარება და ოპერატიულად უნდა მუშაობდეს საპატრულო პოლიცია. უნდა შეიცვალოს მიდგომა ქალაქის დაგეგმარების, ქვეითის გადაადგილებისა და მოძრაობის წესრიგის დაცვის მიმართ. მაგალითად, სომხეთში მოახერხეს ამ პრობლემის მოგვარება. მათ ჩაატარეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა ყველა ინსტანციურ დონეზე — როგორც წესების დამრღვევ მძღოლებში, ასევე ქვეითებში.” — განმარტავს გელა კვაშილავა.

მისი თქმით, საგზაო მოძრაობის წესრიგი მხოლოდ ერთი რომელიმე ბერკეტით, მაგალითად, დაჯარიმებით ვერ მოგვარდება. პერიოდულად უნდა ტარდებოდეს საგანმანათლებლო კამპანიები საზოგადოებაში მოძრაობის წესების დაცვის შესახებ ცოდნის ასამაღლებლად.

„ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენთან არსი გზის არდათმობა — როგორც მძღოლებში, ასევე ქვეითებში. უმეტესად ეს ზებრა -გადასასვლელებზე გზის გადაკვეთისას გამოიხატება. **სხვათაშორის, მძღოლების უმეტესობამ არც კი იცის, რომ ზებრა — გადასასვლელზე ქვეითისთვის გზის არდათმობა ჯარიმდება 20 ლარით. ასევე ქვეითიც ჯარიმდება, თუ გზას არასწორ ადგილზე გადადის.** გზა ყველას ეკუთვნის, მაგრამ მასზე მოძრაობის კანონებიც ყველამ უნდა დაიცვას.” — ამბობს გელა კვაშილავა.

„საჯარიმო სანქციებს რაც შეეხება, საზოგადოებამ უნდა მკაფიოდ გააცნობიეროს, რომ ჯარიმა არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ზომაა, არამედ — უპირველეს ყოვლისა — დასჯის და პრევენციის ზომა, რადგან საკითხი ადამიანის სიცოცხლეს ეხება. ქალაქის პირობებში ქვეითი ყველაზე დაუცველ მდგომარეობაშია, ამიტომ მას უპირატესობა უნდა მიენიჭოს. ქალაქის მოძრაობას არ უნდა ვუყურებდეთ მხოლოდ მძღოლის გადასახედიდან. ქვეითებისთვის უსაფრთხო გადაადგილება უნდა იყოს უზრუნველყოფილი. საუბარი არა მხოლოდ შუქნიშნებზეა. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველაზე გამართლებული ვარიანტი ურბანულ პირობებში მიწისქვეშა გადასავლელები და ე.წ. უსფრთხოების კუნძულებია. „

ექსპერტის განმარტებით, სატრანსპორტო მოძრაობას ქალაქში ასევე მომრავლებული ავტომანქანების, მათ შორის მარცხენასაჭიანი მანქანების რაოდენობაც ართულებს. ამას გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობაც ემატება. ავტოსაგზაო შემთხვის შედეგად საქართველოში ყოველწლიურად უამრავი ადამიანი იღუპება ან მძიმე დაზიანებებს იღებს. როდესაც მანქანა 30 კმ/ს სიჩქარით ეჯახება ქვეითს, მისი გადარჩენის შანსი დიდია, ხოლო 50 კმ/ს მეტი სიჩქარით მომხდარი ავტოავარიაში მოყოლილთა 80% გადარჩნა ვერ ხერხდება.

„მიუხედავად იმისა, რომ საგზაო მოძრაობის მოსაწესრიგებლად და საზოგადოებაში ცოდნის დონის ასამაღლებლად ბევრი ნაბიჯია გადადგმული; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან რამოდენიმე სხვა ორგანიზაცია თანამშრომლობს და სულ ახლახანს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც გვქონდა შეხვედრა, სადაც გარკვეული სტრატეგიები განვიხილეთ, კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი. ეს უკვე სახელმწიფოს პრეროგატივაა და იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას მთავრობა სათანადო ყურადღებას მიაქცევს.” — აცხადებს გელა კვაშილავა.

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 16.11		სამშაბათი 17.11		ოთხშაბათი 18.11		ხუთშაბათი 19.11		პარასკევი 20.11		შაბათი 21.11		კვირა 22.11	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
6°	4°	7°	3°	4°	3°	4°	1°	6°	5°	6°	5°	8°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნანრა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქი დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.